



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

ბრძანება N 54

28/03/2019

ქ.თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N247 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (შემდგომში - „სამსახური“) მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად კონკურსისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი სატენდერო და საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ჯონი შურდულაია - სამსახურის უფროსის მოადგილე.
კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ბაბაკიშვილი - სამსახურის უფროსის მოადგილე.
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით კარანაძე - სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.
კომისიის წევრი;
4. ალექსანდრე ხუსკივაძე - სამსახურის კვლევის და სისტემური ანალიზის დეპარტამენტის უფროსი.
კომისიის წევრი;
5. მზიური ბარბაქაძე - სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი.
კომისიის წევრი;
6. გიორგი ნაყეური - სამსახურის პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი.
კომისიის წევრი;

2. სატენდერო და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სატენდერო და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს სატენდერო და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ 2019 წლის 4 იანვრის სამსახურის N2 ბრძანება;

4. დაევალოს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სხვა დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

6. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

ჯონი შურდულაია

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი